№ 259 10 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866 - 1881 10 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 259.

**რედაქცია**

გალაგანის პრეზიდენტზეთ. ი. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებაზ“ „იბერიაზ“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზ“ „იბერიაზ“ აგენტთან ი. ჭელიანოვთან ხელზე. გარეშე მცხოვრებთათვის: „Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„იბერიის“ ფასი.**

წელიწადში. 6 თვეს 3 თვეს

„დროებაზ“ და „იბერიაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„იბერიაზ“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე [illegible] ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., „ნაბეჭდავებრივ“ ასოთ ასოზე შვიდი კაპ. [illegible]

თუ ხანგრძლივობა მოითხოვა, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით გვრ დაუბრუნებს ჯეტრს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“ „იბერიაზ“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## მომავალის 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისადა-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გაუმჯობესოს იმის გამოცემა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალაგანის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „იბერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავლის წლიდამ არ მიიღება.

### ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . | 3 „ |
| ნახევრის წლით . . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . | 1 „ |

სხვა გვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. ჟელიქიშვილი.

# ტელეგრამა

(„ხალხთა აზორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 8 დეკემბ. ფინანსთ მინისტრმა შეიტანა სახელმწიფო რჩევაში წინადადება, რომ გაიმართოს ბანკი, რომელიდამაც სესხი მიეცეს იმ მცირე მამულიან გლეხებს, რომელნიც მამულის ყიდვას განაზრახავენ.

**პეტერბურღის ბირჟა**, 8 დეკემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | — 93 | — 25 |
| მეორესი | — — — | — 90 — 75 |
| მესამესი | — — — | — 91 — „ |
| მეოთხესი | — — — | 90 — 62 |

| | | |
|---|---|---|
| ალმოსავლეთის პირე. | — 90 | — 12 |
| ალმოსავლეთის მეორე | 90 | — 25 |
| ალმოსავლეთის მესამე | 90 | — 25 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | — 82 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | — — 224 | — 62 |
| მეორე სესხის | — — 216 | — 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | — 25 | — 31 | პენსი |
| ბერლინი | — „ | — „ | პფენიგი |
| ამბუღრი | — 216 | — „ | ცენტი |
| პარიჟი | — — 266 | — 75 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — — | — | |

**«დროების» ფელეტონი**, 10 დეკემბ.

### ქუთაისური ამბები

ამას წინედ ჩემს მკითხველებს ვუმახარობდე ქუთაისში მომავალის წლიდამ კვირის საოხუნჯო—სატირული ჟურნალის „ხუმარას“ გამოცემა და თან დავსძინე რამდენიმე ცნობა, რომელიც გამომცემელ წრისაგან მქონდა შეტყობილი. აწ იმ გამართლებულ ცნობებზე შემდეგის დამატება შემიძლია:

შემდგარია „საგამომცემლო წრე“ რამდენიმე პირთაგან, (რომელთ შორის ურევია თ. ბ. მიხ. შარვაშიძე), რომლებიც გამოიღებენ უწყებულს თანხას ფულისას „ხუმარას“ გამოსაცემლად. ერთი წევრთაგანი ამ წრისა იქნება რედაქტორად და გამომცემლად.

როცა ეს სტრიქონები მკითხველთ წინაშე იქნება, მაშინ თფილისის ცენზურის კომიტეტში უკვე მიღებული იქნება თხოვნა ზემოხსენებულის ჟურნალის გამოცემის ნება-რთვისათვის.

ჩვენ წავიკითხეთ ეს თხოვნა და მასთანვე ვრცელი პროგრამა, მოვისმინეთ რედაქტორ-გამომცემლისაგან თუ რა მიმართულება და ხასიათი ექნება ჟურნალს, და, უნდა აღვიაროთ, რომ უკეთუ ყველაფერი ისე შესრულდა, როგორც განზრახვა აქვთ მაშინ „ხუმარა“ იქნება ჩვენის დროგამოშვებითის მწერლობისა ჩინებული და დაუფასებელი განძი.

ძალიან ვიტყვით—ჩვენს სრულს თანაგრძნობას ვუძღვნით და წარმატებას ვუსურვებთ დასავლეთსა და, ვეჰვ, ალმოსავლეთს საქართველოშიაც მოუთმენელად მოსალოდნელს „ხუმარას“....

—

წარსულს თვეში, როგორც „დროების“ მკითხველებმა უკვე იციან, ჩვენს ვუბერნიას ესტუმრა თავისი ოლქის დასათვალიერებლად ბ-ნი იანოვსკი, რომელშიაც ბევრი რამ უწესოება ნახა, ბევრს საყვედური გამოუცხადა, რომ ეხლა ყველაფერი იმავ მდგომარეობაშია, როგორც მისი მოსვლის წინედ და იოტისოდენიც არაფერი შეცვლილა-რა..

„ამ-და-ამ სასწავლებლის ინსპექტორი რატომ სცხოვრებს თავის „საყვარელით“ სასწავლებლის ეზოში, ხომ ნოვნიკები და აფიცრები, რომელთაც ხშირად პიროვნული ინტერესი აიძულებდათ, რომ გლეხების სასარგებლოდ არ გარდაეწყვიტათ საქმე და არ მოესპოთ გლეხის დამოკიდებულება ნაბატონრეესაგან.

ამას გარდა თვით მამულების შესყიდვის პროცესი, ნასყიდობის წერილის მიღება და სხვა წესები ერთობ გაძნელებული იყო და არის ჩვენ სასამართლოებში.

სხვა ათას გვარი საფუძვლიანი და უფრო უსაფუძვლო ხმებიც აბრკოლებდნენ ამ საქმეს. ზოგან გლეხებში გავრცელებული იყო ხმა, რომ თვითონ მთავრობა გამოისყიდის მებატონისაგან ადგილ-მამულს და მუქთად ჩააბარებს გლეხებსაო. ზოგან ამბობდნენ, მთავრობა ასესხებს ამისთვის, გლეხს რამდენიც ფული დასჭირდება, მამულს ჩააბარებს და მერე გლეხი ნაწილ-ნაწილად ვადაუხდის ხაზინასაო.

ყველა ამ დაბრკოლებისა და მიზეზებისაგან წარმოსდგა ის გარემოება, რომ დღეს იმის ნახევარ გლეხობასაც არ დაუხსნია თავი ნაბატონრისაგან, იმის ნახევარსაც არ გაუყვეტია შიწა-წყლის კავშირი მემამულესთან, რამდენსაც შეეძლო, მომრიგებელ შუამავალთა და სასამართლოებისაგან რომ ცოტა დახმარება ჰქონდათ გლეხებსა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ, ჯერ-კიდევ დაუბოლოებელ ბატონ-ყმობის საქმესა და ცდილობს, რომ მამულების გამოსყიდვით მალე მოსპოს ის დამოკიდებულება, რომელიც დღემდინ არსებობს ამ ორ წოდებას შუა.

ცუდი ზნეობითი მაგალითი ეძლევა ამით მოწაფეებსაო, უთქვამს ინსპექტორის უფროსისათვის ბ-ნს იანოვსკის. . . . . .

— „მასწავლებელნი ნუ იბარებენ სახლში სასწავლებლად თავისიანი შაგირდებსაო,“ გამოაცხადა ბ-ნმა მზრუნველმა; მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ამ განცხადებას არავითარი შედეგი არ ჰქონია. იგივე შაგირდები იმავ მასწავლებლებთან დგანან, მათი მშობლები იხდიან დიდ ფულს (წელიწადში 600-700 მან.), რადგანაც უტყუარი იმედია რომ, რაც უნდა ცუდად სწავლობდეს ამისთანა ადგილზედ დაყენებული შაგირდი, „ბალლებიც“ მუდამ კარგი ექნება და გადასვლითაც

## ახალი ამბები.

დღევანდელის დღიდამ ჩვენი გაზეთის და საზოგადოდ ქართულ დრო-გამოშვებით გამოცემისა და წიგნების ცენზორად, ბ. ზ. ი. შანშიევის მაგივრად, დანიშნულია ბ. დ. ს. ისარლოვი.

ჩვენი მწიგნობრობის საქმე ისეთს მდგომარეობაშია ახლა, რომ პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვაცხადებთ ამ ისეთ პატარა გარემოებას, როგორიც არის ერთის ცენზორის გამოცვლა და მეორის დანიშვნა.

* *

სწორედ რუსეთის ზამთარი დაგვიდგა ჩვენს ქალაქში. ზავლილ სამი დღის განმავალობაში ისეთი ყინვები იყო, რომ გარედ გასვლა სჭირდა და ქუჩებიც ისეთნაირად გაყინა, რომ წამ-და-უწუმ ტყაპა-ტყუპი გაჰქონდათ ხალხს, ორი ნაბიჯი ისე ვერ გაედგათ ქუჩებში, რომ დაცემის შიში არ ჰქონოდათ. კიდევ კარგი, რომ მარხილები გაჩნდა და ზოგიერთ ქუჩებზე (მაგ. სასახლისა და გოლოვინის პროსპექტის ერთ ნაწილზე) ქვიშა თორემ ცუდად იყო საქმე.

დღეს თოვს და უნდა ვიფიქროთ, რომ ყინვა მაინც აღარ იქნება.

* *

თფილისის ოლქის სასამართლომ ამ თვის 5-ს განიხილა მიხეილ და იაგორ ნიკოლოზოვებისა და არტემ მგანოვის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ თავიანთ მაღაზიის განზრახ ცეცხლის წაკიდება (სასახლის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში.)

სასამართლომ გარდაუწყვიტა ამათ ყოველ ღირსების ჩამოხდა და ციმბირში გაგზავნა დასასახლებელად.

* *

ხაშურიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში ერთს იქაურ რკინის გზაზე მოსამსახურის ტ—რიას სახლში შეცვინულან ვილაცაები, როდესაც სახლში მარტო ცოლი ყოფილა ამ კაცისა და გაუპატიურება მოუნდომებიათ ამ ქალისა. მაგრამ, რადგან ამას ყვირილი შეუქმნია, შეშინებულან, არავინ მოგვასწროსო, და გაქცეულან. ქმარს მამასახლისისა და გამომძიებლისათვის გამოუცხადებია ეს საქმე, მაგრამ ამაზე ჯერ-ჯერობით გამოძიებაც არ არის დანიშნული.

საზოგადოდ თითქმის დღე ისე არ გაივლის თურმე, რომ ხაშურის სტანციაზე ქურდობა, ავაზაკობა ან სხვა რაიმე ბოროტ-მოქმედება არ მოხდესო.

* *

† როგორც დანიშნული იყო, კვირას, 6 ამ თვეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლებმა გარდაიხადეს მიცვალებულის ქ. ნ. ნაცვლიშვილის სახელობაზედ პანაშვიდი, რომელზედაც დაესწრნენ მიცვალებულის ზოგი ნათესავ-ნაცნობები, ქალი და კაცი, და ქალაქის სკოლის სამასწავლო კამიტეტის რამოდენიმე წევრები, სასწავლებლის დირექტორი ყველა მასწავლებლებითურთ და მოსწავლენი.

მოსწავლენი წინ-დღით დაბარებულნი იყვნენ ამ დღისთვის სასწავლებელში, სადაც ერთ დიდ ზალაში დილის 11 საათზე შეიკრიბნენ და აქ ქართული განყოფილების მასწავლებელმა ბ. ღულაძემ გამოუხატა მათ მიცვალებულის სახე, მისი პატიოსნება, შრომის მოყვარეობა და ამხანაგობაში მისი დაუფასებლობა და დაბოლოვა ბ. ღულაძემ თავის სიტყვა ასე:

„ყმაწვილებო! თქვენ ეხლა შეგიძლიათ მიხვდეთ, თუ რისთვის შევიკრიბენით ჩვენ ყველანი. დღეის-დღე ამოვირჩიეთ ჩვენ, რომ მოვიხსენიოთ ღირსეულად ეს პატიოსანი გვამი. მიცვალებულს დიდი ღვაწლი უძღვს ამ სასწავლებელში. ბევრს თქვენთაგანს დღესაც დაუვიწყარი ექნება მიცვალებულის ერთგულება, პატიოსნება და მიუდგომლობა. ჩვენშიაც,—თქვენ ეხლანდელ მასწავლებლებს შორის-მიცვალებულმა დასტოვა დაუვიწყარი ხსოვნა. ამისათვის დღევანდელი დღე დავნიშნეთ ჩვენ, რათა ყველა ჩვენთაგანმა—როგორც ჩვენ მასწავლებლებმა, ისე თქვენა—შევიკრიბოთ ერთად და მოვიხსენიოთ მიცვალებულის სახელი. ამ შემთხვევაში მიცვალებულის სახელის ღირსეულად მოხსენება ის იქნება, რომ მივალთ ტაძარსა შინა ღვთისა და ვილოცავთ მისი სულისათვის, რათა მიეცეს მის სულს ღირსეული განსვენება“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ახალ-სენაკი, 3 ქრისტეშობისთვეს.** ყველა ბლაღოჩინებს სამეგრელოს სამღვდელოებისას ამ დღეებში მოუვიდათ ბრძანება ყოვლად-სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზისაგან, რომ დაეკითხონ თავ-თავიანთ საბლაღოჩინოებს: სად სურთ მარტვილის სასწავლებლის გადატანა: ქუთაისში თუ ახალ-სენაკში? ბლაღოჩინებს მიეცათ ერთი კვირის ვადა აზრის მოსაკრებად და ამ ერთ კვირაში უნდა გადაწყდეს, რომელს ხვდება წილში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი: ქუთაისს თუ ახალ-სენაკს.

ხანამ ზემოხსენებული ბრძანება მოუვიდოდა ბლაღოჩინებს, ქუთაისში იყო რჩევა ყოვლად-სამღვდელოს თავსმჯდომარეობით; ამ რჩევაზე დაბარებულნი იყვნენ და კიდეც დაესწრნენ ზოგიერთნი სამეგრელოს სამღვდელოების წარმომადგენელნი პირნი. აქ უნდა გადაწყვეტილიყო, სად უნდა გადაეტანად სასწავლებელი. მაგრამ, ამბობენ, რჩევის წევრნი ორად გაიყვნენო; ერთნი ამბობენ ისევ ქუთაისში გადმოვიტანოთო, მეორენი კი—სამეგრელოში დარჩესო; ბოლოს დადგინდა, რომ ეკითხოს სამეგრელოს სამღვდელოებას ჰაზრი ამ საქმის თაობაზე.

ამნაირად, ამ ოთხ ხუთ დღეში საქმე გადაწყდება და ამისათვის ურიგო არ იქნება, ჩვენის ფიქრით, ორიოდე ჰაზრი წარმოვსთქვათ, ამ ფრიად საინტერესო საგანზე.

წინადვე კი უნდა გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით არც ზუგდიდის პარტიას, არც სენაკისას და არც ქუთაისისას; ჩვენ გვაქვს მხედველობაში მხოლოდ იმ უწყების სარგებლობა, რომელიც თავის ფულებით ინახავს სასწავლებელს.

ვერ გავიგეთ, რით ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც ამბობენ, რომ ქუთაისში გადმოვიტანოთ სასწავლებელიო? ეს სასწავლებელი შეადგენს ერთად-ერთ სულიერს საუნჯეს მთელი სამეგრელოისა; ავად თუ კარგად, ის შეძლებისა-და-გვარად აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას; სხვა რომ არა იყოს-რა, წერა-კითხვას მაინც კარგად ასწავლის სასწავლებელი თავის მრავალ მოწაფეებს; და კანონიერი იქნება, რომ ეს ერთი სასწავლებელიც ქუთაისში გადავიტანოთ?

ეხლა ითვლება ამ სასწავლებელში 450 შაგირდი, რომელთაგან 200 სულ შეუძლებელი და ღატაკი დედმამის შვილები არიან; რა უნდა ქმნან ამ უკანასკნელთ, თუ სასწავლებელი ქუთაისში გადავიდა? ესენი იძულებულნი შეიქმნებიან თავი დაანებონ სწავლას და დაბრუნდნენ თავთავიანთ სახლებში! მე თქვენ გეტყვით და სხვა რომელიმე სასწავლებელში შეუძლიანთ თავი შეიფარონ! სად არის სასწავლებლები?

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სასწავლებლის კოლლეგიისათვის (მასწავლებელთათვის) ქუთაისში სჯობია ცხოვრება, ვიდრე ახალ-სენაკში; მაგრამ მომავალმა რჩევამ უნდა მიიღოს მხედველობაში არა მასწავლებლები არამედ შაგირდები და იმ პირთ სარგებლობა, რომელნიც ინახვენ სასწავლებელს. ვგონებ, ყველა დამეთანხმოს, რომ ქუთაისში ხსენებული სასწავლებელი იმის ნახევარ და მესამედ სარგებლობასაც ვერ მოუტანს მეგრელებს, რისიც მოტანა მას შეუძლია თვით-სამეგრელოში.

ახალ-სენაკში ყოველ ღარიბ დედმამას შეუძლიან ადვილად არჩინოს თავის შვილი; აქ სახლის ქირაობის მეტი არა დასჭირდებათ-რა; ხარჯს სახლიდგან ჩამოიტანებენ. ქუთაისში კი, გარდა სადგომისა, საჭმელიც უნდა იყიდონ, სასმელიც და შეშაც. აბა, რომელი ღარიბი დედ-მამა გაუძლებს ამდენ ხარჯს?

„შრომის“ უკანასკნელ №-ში იყო მოყვანილი, რომ, როდესაც მარტვილის სასწავლებელი პირველად გად-

---

შემდეგს კლასსებში ყოველთვის გადავა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

—

„ცის საქანელნი, გარდმომდენელნი მადლისა ცვართა“ წლევანდელს წელს უკუღმა დატრიალდა ხონელებისათვის: ჯერ ხომ ცეცხლის სტიქიონმა უწყალოდ და უ-წყალოდაც შთანთქა სამასიოდე დუქანი და ამითი თითქმის ულუკმა-პუროდ დასტოვა ამდენივე რიცხვის ღარიბი ვაჭრები; ეხლა ერთმა ბატონმა იმისთანა უკანონობა და უსამართლობა მოავლინა მათის უმრავლესობის თავზედ რომ, შენი მტერია, თუ დარდიმანდათ არ დატრიალდენ, ერთობ ცუდად მოუვათ საქმე...

აი საქმე რასში მდგომარეობს:

ყველა გადამწვარი დუქნები დაბა ხონში აშენებული ყოფილა საეკკლესიო (აწ სახელმწიფო) მიწებზედ, რომელთ პატრონები ყოველს წლობით გარდაწყვეტილს გადასახადს იხდიდნენ. დაწვის შემდეგ თუ არ გადასახადის შემცირებაზე ან შეღავათით გადახდევინებაზე ვინ იფიქრებდა! არა, უკაცრავად, რას ჰქვია, ვინ იფიქრებდა! ზემოხსენებულ ბატონმა იფიქრა და ჯერ-ჯერობით კიდეც მოასწრო გულის-წადილის ასრულება. მან გამოაცხადა, რომ ხაზინისათვის უფრო სასარგებლო(!) იქნება ის მიწები საჯაროდ გაყიდვით გაისყიდოსო, ვიდრე მაწულის მფლობელთაგან ყოველ წლობით მცირე-მცირე(!) გადასახადი იღოს ხაზინამო.

ეს რომ ხონელებმა შეიტყვეს, მაშინვე „სდურთეს“ არზა მთავარ-სამმართველოში, რომელშიაც განმარტეს თავიანთი შევიწროებული მდგომარეობა, გადასახადის არა-მცირედობა და სხვ. მთავარ-სამმართველომ შეიწყნარა პირველად მათი თხოვნა და მოიწერა ხონელების საეკკლესიოდ ყოფილი მამული იმავ პირობით შერჩეს მათს მფლობელებს, რა პირობითაც დღემდის ჰქონიათო. გაიხარეს ხონელებმა, მაგრამ ხანგრძლივი არ ყოფილა მათი სიხარული. მათმა მეტოქემ მიიწერა თავის მხრით მთავარ-სამმართველოშივე მათის არზის წინააღმდეგი, რომელშიაც ამტკიცებდა დაუმტკიცებელს, (ე. ი. ზემოხსენებულ ადგილთ გაყიდვისაგან უფრო ისარგებლებს ხაზინაო), ამბობდა თავის თავზე, როგორც ზედმიწევნით მცოდნეზე(!) ადგილობრივ გარემოებათა და სხვ. და სხვ. ის არ ცოდნია ამ ბატონს, რომ მოქალაქეთ სარგებლობა არის ხაზინის სარგებლობაც, და უფრო საიმედო და პირ-და-პირიც, ვიდრე ის სისტემა, რომლითაც მცხოვრებლებმა შემოსავალზე მეტი უნდა იხადონ იმ მოლოდინით, რომ ოდესმე ხაზინა ჩვენზევე მოიხმარს ამ ფულებსაო. ეს რომ სცოდნოდა, მაშინ ასე განსჯიდა: „ხონელებისთვის ყოველ წლობით გადასახადის ხდა იმიტომ არის უფრო ადვილი და ყიდვა კი მაზარალებელი, ძნელი და მოუხერხებელი, რომ პირველს შემთხვევაში იგინი წვრილ-წვრილად, ჯიბის დაუქცევლად იხდიან ფულს და ეს დიდი შეღავათია მათთვის, მეტადრე ამ დაწვისა და დაღატაკების შემდეგ;

მოიტანეს ქუთაისში, შეგირდების რიცხვი შესანიშნავად შემცირდაო და როდესაც უკან დააბრუნეს, იმდენი ბავშვები მოაწყდა, რომ შეგირდების რიცხვი გაორდაო. ეს საკვირველიც არ არის: ეხლაც რომ სასწავლებელი ქუთაისში გადავიდეს, 450 ყმაწვილში კარგი უნდა, რომ 250 გადაყვეს! დანარჩენმა 200-კი თავი უნდა დაანებოს სწავლას! ნუ თუ სანატრელია ამოდენა ყმაწვილების გარეთ გამორეკა? ამაზედ კარგად უნდა დაფიქრდენ საქმის გამგებლები.

ან რად მოსდომიათ ზოგიერთებს მაინცა-და-მაინც ქუთაისში გადაათრიონ ეს სასწავლებელი? თუ სხვა ადგილი ვერ ამოარჩიეს სამეგრელოში, ახალ-სენაკმა რა დაუშავა? ეს ისეთი ადგილია, რომ შუა-გულ ალაგად ჩაირიცხება და გარდა ამისა ერთობ ემხრობა მთელ სამეგრელოს და ამიტომაც აქ შეგირდების რიცხვი არა თუ იკლებს, არამედ იმატებს კიდეც, და სანატრელიც ხომ ეს არის. მართალია, ჯერ-ჯერობით სახლი ვერ ექნებათ აქ იმისთანა, როგორიც კადრება საზოგადოდ სასწავლებელს, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ თვით ქუთაისშიაც მ. ბამრეკელოვის დუქნებში იყო გამართული ეს სასწავლებელი, და რა უშავთ, რომ აქაც ჯერ-ჯერობით ფ. მხეიძის ახლად აშენებული სამაღაზიო სახლები დაიქირაონ და, ბოლოს შეიძლება თავის დიდი ქვითკირის შენობა დაუთმოს ხსენებულმა მხეიძემ სასწავლებელს.

ბ. ჯ—ძე.

# რუსეთი

(გაზეთებიდან)

დიფტერიტის ავადმყოფობის მოსასპობელად მმართებლობა ეძებს სხვა და სხვა საშუალებას. სხვათა შორის, ამბობენ, უწ. სინოდის დახმარებით უნდათ, სამღვდელოებამ ჩააგონოს ხალხი რომ დიფტერიტით მიცვალებულებს არ გაუმართონ ხოლმე ჩვეულებრივი დასაფლავება, რომელიც არის, ერთის მხრით, მიზეზი ამ ავადმყოფობის გავრცელებისა. ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებს მონაწილეობას.

—

რამდენიმე სტუდენტი პეტერბურღის უნივერსიტეტისა იძულებული შექნილან მიეტოვებინათ უნივერსიტეტი, ლექციების მოსასმენ ფულის შეტანის შეუძლებლობისა გამო.

ამავე მიზეზისა გამო, ქიევის უნივერსიტეტიც მიატოვეს რამდენიმე ასტუდენტთა.

—

ამბობენ, უნივერსიტეტებში და დანარჩენ უმაღლესს სასწავლებლებში ყოველგვარი ეგზამენები მაისის თვისათვის უნდა გათავებული იქმნას, რადგან ამ თვეში როგორც ხმებია, ხელმწიფის გვირგვინის კურთხევას მოელიანო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო ირკვევს ახალ წესებს საზოგადოდ სატავტო და პროვინციალურ ბეჭდვის შესახებ. დროებითი შეჩერება და აღკრძალვა დრო გამოშვებით გამოცემისა, ამბობენ, უნდა შეიცვალოს პრაპორციანალურ ჯარიმითა, რომ ამნაირად ხელის-მომწერნი და თანამშრომელნი და საზოგადოდ გარეშე პირნი, რომელთაც მატერიალური თუ სხვა დამოკიდებულება აქვთ ხსენებულ გამოცემასთან არ იყვნენ, როგორც ამ ჟამად, ადმინისტრაციისგან უბრალოდ დასჯილნი. ახალი პროექტის ძალით, რომელიმე გამოცემის აღკრძალვა იქნება მხოლოდ დაბოლოებითი.

—

საფრანგეთის გამოჩენილი არტისტკა, სარა ბერნარი, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთს ეწვია. ამ ჟამად მოსკოვის სცენაზე თამაშობს. სარა ბერნარმა გაიარი ოდესაში და ქიევში, სადაც გამართა წარმოდგენები. ოდესაში რომ ჩამოხტა, დიდის ამბით მიიღეს რუსებმა. ქვებით შეუმტვრიეს კარეტის ფანჯრები და არტისტკასაც მოხვდა ერთი ქვა გულზედ. ამ შემთხვევის შემდეგ, ყოველ ეოკზალზე პოლიცია ახდენს განკარგულებას, რომ უწესობა არა მოხდეს-რა.

პირველ წარმოდგენაზედ მოსკოვში ბევრი ვერ წავიდა, ეშინოდათ, რამე არეულობის მოწამეთ ან მონაწილედ არ გამხდარიყვნენ. სარა ბერნარი ჯერ მოსკოვშია, მაგრამ პეტერბურღში კიდევაც გაიყიდა, იტაცება იმ წარმოდგენის ბილეთები, რომელსაც იქ გამართავს ეს გამოჩენილი არტისტკა.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ავსტრია.** თითქმის მთელი ევროპა ააღელვა და აალაპარაკა ვენის თეატრის დაწვამ. ცეცხლი მოხდა უქმე დღეს, როდესაც თითქმის ყველა თეატრები სავსეა საზოგადოებით. საღამოს შვიდს საათზედ დაიწყო წარმოდგენა. არდგენდნენ ოფენბახის ოპერეტკას: „ბოფმანის ზღაპრები“. სცენაზედ ანთებული იყო ლამპა სპირტით, რომელიც უცბად ჩამოვარდა და ცეცხლი მოსდო კულისებს. მავთულის ფარდის ჩამოშვების მაგივრად, რომ ცეცხლი კულისის გარეთ არ გამოსულიყო, თეატრში, ასწიეს ჩვეულებრივი ფარდა და საზოგადოებამ დაინახა ცეცხლი, რომელიც ფარდის აწევით და ამის გამო ჰაერის მოძრაობაში მოყვანით, უფრო გაძრიელდა და მთელს კულისებს მოედო. ისეთი არეულობა შეიქნა, რომლის აღწერა ძნელია. და ამ არეულობაში უცბად მთელი თეატრი ღრმა სიბნელეში ჩავარდა, რადგან გაზი შეცდომით გააქრეს. ბონება-დაკარგულმა საზოგადოებამ აღარ იცოდა სით გამოსულიყო, სით სცემოდა. შეიქნა საშინელი ყვირილი და არეულობა. ძლიერთ მუშტი-კრივიც გაისვეს, ულონონი კი იღუპებოდნენ. ბევრი ფანჯრებიდან ვარდებოდა ქუჩაზედ. რვა საათი ბქნებოდა, როდესაც სახურავი საშინელს ხმაურობით ეცა წამში მოედო ეს ამბავი მთელს ქალაქს და ყოველის მხრიდამ ტირილით და ქვითინით იკრიბებოდნენ ამ ცეცხლის მსხვერპლთა გამოსატირლად. საცოდავი, შემაძრწუნებელი სანახაობა იყო.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთისაგან რუსეთის სამხედრო კონტრიბუციის გარდახდის საქმე კიდევ არ მოსულა სისრულეში. ამბობენ, პორტას ჰსურსო დაუთმოს რუსეთს სომხეთის ზოგიერთ პროვინციებიდან შემოსავალიო, რაც შეადგენს 12,000,000 ფრანკს წელიწადში. ამ შემოსავლის მოკრება და რუსეთისათვის გადაცემა მინდობილი აქვს ოსმალოს ბანკს. ეხლა მხოლოდ დაბრკოლება პროცენტებზეა, რომელზედაც ოსმალეთი ყურსაც არ ანძრევს და რუსეთი კი უეჭველად ითხოვს ამ პროცენტებს. ყოველ შემთხვევაში ამ ვალის სრულებით გაწმენდას ოსმალეთისაგან მომავალ საუკუნეში მოელიან. ძველი ოსმალოები და ქრისტიანენი (ოსმალეთში) დარწმუნებული არიან, რომ ბოლოს ეს ანგარიში რუსეთსა და ოსმალეთს შუა იმით გათავდება, რომ ეს უკანასკნელი იძულებული იქნება, რომელიმე თავის სამფლობელო დაუთმოს რუსეთს ამ ვალში.

ოსმალოს სომხებს შუა დიდი არეულობაა. სტამბოლის პატრიარქმა ნერსესმა გაუგზავნა პორტას სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი. პატრიარქი სჩივის, რომ ოსმალოს მმართებლობამ სომხებს აუტანელად გარდაუქცია მათ ქვეყანაში ცხოვრება, რომ ოსმალოს მმართებლობა უბრალოდ ამტყუვნებს სომხებს ოსმალეთის ორგულობაში. მინისტრთა რჩევამ მიაქცია ყურადღება ამ ქაღალდს, მაგრამ ჯერ არავითარი გარდაწყვეტილება არ დაუდგენიათ.

---

მეორე შემთხვევაში-კი ერთიანად უნდა გამოიღონ მიწის ფასი, რაც თავმოუვლელს სიძნელეს შეადგენს დღეს მათთვის, მით უფრო, რომ რამდენიმე ასს კაცს ერთად დაჭირდება მიწების შესყიდვა და ამდენი კაცი ვის დაესესხოს ამ უფულობის დროს? მაგრამ, სამწუხაროც ის არის, რომ მოხსენებულმა ბ-ნმა არ უწყის, ანუ არ ჰსურს უწყოდეს ეს გარემოება, არდგენს მთავარ-სამმართველოში სრულიად შემცდარს აზრს და ეს დაწესებულება, ჩვენდა გასაოცებლად, წინაღმდეგ თავისივე პირვანდელ გადაწყვეტილებისა მოიწერება, რომ ხონელების საეკლესიო ადგილები საჯარო ვაჭრობით გაიყიდოსო!

ნამდვილად შევიტყვე, რომ მცხოვრებლები დ. ხონისა უმაღლესს მთავრობასთან აპირებენ ჩივილს, რომელშიაც ერთხელ კიდევ გამოსთქვამენ თავის სიმართლეს და მუდარებას.

—

„ჩვენი ბარიშნები,“ დაწერილი(!) ნიკ. ეიფშაბისგან. ქუთაისი 1881 წ. სტამბა ვ. ზედგინიძისა და ბ. ფერაძისა. ფასი ერთი შაური. ეს ლექსად დაწერილი 15 გვერდიანი წიგნაკი რომ თბილისში გამოსულიყო „ავლაბრის ლიტერატურის“ ერთ შემადგენელ ნაწილად ჩაითვლებოდა, მაგრამ, რადგანაც აქ „ავლაბრობს“ სლაპოდკა, ამიტომაც ბ-ნი ნიკიფორე ეიფშიძის მუზის ნაწარმოებიც სლაბოდკის მწერლობას უნდა მივანებოთ, თუმცა კი გასაღებით ბარე ორს „უსლაბოდკო სლაბოდკაში“ გასაღდება.

შინაარსი წიგნაკისა, (ამ ახალ პოეტისაგან ლექსად თქმული) არიან, როგორც სათაურიდამაც სჩანს, საბრალო „ჩვენი ბარიშნები“ რომელნიც ამ ბოლო დროს ერთობ ნაყოფიერ საგნად გადაიქცნენ მრავლის უნიჭო კალმებისათვის. უიმათოდ რამდენი უხამსი კალამი დარჩებოდა მოუსმელად! ამ კალმოსნების რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ავტორიც. ის მეათასედ-ჯერ იმეორებს ულაზათოდ, უშნოდ და უნიჭოდ დაძველებულს ჩივილს ბარიშნების კუდიან კაბებზე, ფულების ფლანგვაზე, ყმაწვილების მახეში გაბმაზე, უშრომლობაზე და სხვ. ეს წიგნაკი ისე მოსაწყენია, როგორც უხეირო მეალილოების გალობა შობის წინადღეებში. აი მაგალითი ავტორის ლექსისა:

„იმათი წიგნი კედლის სარკეა,
„ბარედამ ჭუჭყსა მით იხოცამენ,
„ბეერი ფანჯრებიდან ვარდებოდა ქუ-
„ჩაზედ. რვა საათი ბქნებოდა, ეშმაკნა
სახურავი საშინელს ხმაურობით. ერთ
წამში მოედო ეს ამბავი მთელს ქა-
ლაქს და ყოველის მხრიდამ ტირი-
ლით და ქვითინით იკრიბებოდნენ ამ
ცეცხლის მსხვერპლთა გამოსატირ-
ლად. საცოდავი, შემაძრწუნებელი
სანახაობა იყო.

„მოიპრანჭვიან ვით ფარშევანგი,
„ძუდის ქნევითა ბულვარს გადიან.

მერე, ბატონო ავტორო, ვაი თუ თქვენისთანა პოეტს ან ყურადღებასაც არ აქცევენ, ან სამასხაროდ იგდებენ, და თქვენც იმითი გაგულისებული საგრძელ-ყურეთიდამ მოფრენილს თქვენს მუზას არიხვებთ მათზე!

ბაგრძელეთ თქვენი შრომა, ბატონო ეიფ-ძე: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“ ნათქომია, მაგრამ ნუ ჰბეჭდავთ კი თქვენ ნაწარმოებს მანამდის, სანამდი რიგიანად არ განიეითარებთ გონებას, ისწავლით ქართულს და კალმის ხმარებას...

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲔᲘᲡᲢᲕᲘᲢᲔᲚᲜᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲙᲘ ᲡᲝᲕᲔᲢᲜᲘᲙᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲕᲐᲚᲝᲕᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ 6-ᲓᲐᲛ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲒᲐᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲙᲚᲐᲓᲨᲘ ᲐᲕᲭᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲡᲐᲮᲚ. № 59, ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲠᲒᲐᲕᲘ ᲮᲔᲔᲑᲘ, ᲣᲐᲠᲐᲘᲐᲖᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲘᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ. ᲡᲙᲚᲐᲓᲘ ᲦᲘᲐᲐ ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ. (3—1)

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲘᲜᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲦᲐᲒᲐᲡ ᲩᲐᲘ, ᲙᲐᲙᲐᲝ, ᲨᲔᲙᲝᲚᲐᲓᲘ, ᲑᲘᲡᲙᲕᲘᲢᲘ, ᲛᲣᲠᲐᲑᲐ, ᲑᲠᲘᲜᲯᲘ, ᲯᲣᲠᲯᲚᲔᲑᲘ, ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘ, ᲑᲐᲙᲚᲔᲑᲘ, ᲗᲔᲗᲠᲨᲘᲑᲘ, ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ᲡᲣᲓᲝᲯᲔᲑᲘ, ᲗᲝᲯᲓᲜᲔᲡᲘᲑᲘ, ᲨᲘᲠᲘᲡ-ᲡᲐᲑᲐᲜᲘ, ᲙᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲣᲠᲕᲔᲚᲘ, ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲓᲘ, ᲙᲝᲙᲝᲖᲘᲡᲘ, ᲓᲐᲜᲔᲑᲘ, ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘ, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ, ᲙᲐᲠᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘ, ᲗᲝᲯᲔᲑᲘ, ᲠᲕᲔᲚᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘ, ᲒᲠᲕᲔᲑᲘ, ᲨᲚᲐᲨᲩᲔᲑᲘ, ᲕᲐᲡᲔᲑᲘ, ᲥᲛᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲣᲚᲔᲚᲣᲠᲔᲑᲘ, ᲙᲚᲘᲝᲜᲙᲐ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ, ᲚᲐᲒᲛᲔᲑᲘ, ᲣᲗᲝᲯᲔᲑᲘ, ᲢᲐᲮᲢᲔᲑᲘ, ᲨᲘᲠᲘᲡᲮᲝᲪᲘ, ᲩᲮᲕᲘᲠᲘᲡ-ᲡᲐᲮᲝᲪᲘ, ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘ, ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲜᲘ, ᲓᲣᲮᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲑᲐᲗᲘ, ᲪᲘᲢᲛᲐᲢᲛᲐᲒᲜᲔᲖᲘᲐ, ᲥᲘᲜᲡᲡ ᲓᲕᲘᲜᲝ, ᲨᲝᲠᲢ-ᲖᲔᲘᲜᲘ, ᲮᲠᲔᲡᲘ, ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲮᲕ. ᲠᲐᲛᲔᲚᲔᲑᲘ,—ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲘᲛᲧᲝ ᲩᲐᲘ ᲒᲐᲫᲠᲐᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲠᲓᲐᲗ: ᲤᲣᲗᲝᲜᲘᲗ 40, 46, 52 ᲓᲐ 58 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲝᲜᲘᲗ: 1 Მ., 1 Მ. 10 Გ., 1 Მ. 20 Გ., 1 Მ. 40 Გ., 1 Მ. 60 Გ., 1 Მ. 80., ᲓᲐ ᲣᲛᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ 2 Მ.—ᲤᲝᲜᲐ ᲣᲥᲐᲓᲦᲓᲝᲗ.

ᲗᲝᲯᲔᲑᲘ 20—60 ᲛᲐᲜ., ᲩᲝᲙ-ᲑᲝᲠ (*choke bore*) *Ceorge Dau*-Ს ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲓᲐᲛ—120 ᲛᲐᲜ. ᲠᲕᲔᲚᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘ 4—34 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲑᲣᲚᲓᲝᲒᲘᲡᲐ 11—20 Მ. ᲥᲐᲦᲘᲡ ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ 65 ᲛᲐᲜ-ᲓᲐᲛ.; ᲨᲔᲤᲘᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲑᲘ ᲮᲐᲜᲒᲚᲔᲑᲘᲗ 3 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ-ᲓᲐᲛ ᲓᲣᲯ., ᲐᲦᲑᲝᲛᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲤᲘᲚᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ᲗᲝᲯᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲕᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲘᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ. (100—44)

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓ ᲫᲐᲚᲘ ᲩᲐᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲡᲐ 30% ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ. ᲘᲥᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ: ᲞᲐᲠᲣᲡᲘᲜᲐ 40 ᲙᲐᲞ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ; ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘ, ᲑᲐᲙᲚᲔᲑᲘ 10 ᲙᲐᲞ—ᲓᲐᲛ; ᲞᲐᲓᲜᲝᲡᲔᲑᲘ 5 Კ.—ᲓᲐᲛ, ᲛᲣᲠᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. (100—44)

ᲑᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ (ᲑᲐᲦᲘᲡ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ) ᲓᲐ Ბ-ᲜᲘ ᲘᲝᲐᲜᲜᲘᲡᲘᲐᲜᲗᲐᲜ (ᲝᲙᲠᲣᲯᲜᲘᲡ ᲡᲣᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ) ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ:

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲜᲘ, ᲤᲐᲡᲘ 15 Კ.
ᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ — — — 10 Კ.

ᲩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲠᲓᲜᲘ ᲕᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲝᲡ ᲩᲐᲘ, ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 ᲛᲐᲜ. 20 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ 2 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ 1 60 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ 3 ᲛᲐᲜ. ᲣᲕᲔᲚᲒᲐᲜ, Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲩᲐᲘᲐ ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲐᲛᲚᲔᲕᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲣᲥᲐᲦᲐᲚᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲢᲣᲕᲘᲝᲗ. (100—93)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲥᲕᲨ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲘᲒᲐᲡᲐᲡᲣᲚᲘᲓᲐᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ: ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲠ: ᲗᲝᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲚᲘᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲯᲣᲠᲯᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲠᲐᲕᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲝᲙᲝᲖᲔᲑᲘᲡᲐ, ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲙᲐᲝᲡᲘ, ᲓᲣᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲮᲝᲜᲘᲡᲐ, ᲨᲩᲝᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲡᲐᲮᲝᲪᲘᲡᲐ, ᲥᲐᲚᲦᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲠᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐ, ᲣᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲣᲙᲠᲘᲡᲘᲡᲐ (ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲚᲣᲨᲘᲕᲘᲜᲘ ᲖᲔᲗᲘᲡᲐ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲛᲐᲒᲘᲜᲢᲝᲨᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐᲛᲔᲑᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲯᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲨ. ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲗ ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲐᲛᲘᲓᲐᲛ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲕᲜᲐᲡ ᲒᲘᲐᲠᲔᲑᲘ. (100—44)

ᲕᲘᲚᲔᲑ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲙᲔᲚᲡᲐ, ᲡᲢᲐᲚᲘᲐᲠᲘᲡᲐ, ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲘᲡᲐ, ᲓᲐ ᲔᲠᲐᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ. ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲙᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲮᲐᲛ ᲨᲣᲨᲔᲑᲡᲐ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲔᲤᲔᲠᲐᲕᲘ